ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3378800

ნომერი: AR1520602

თარიღი : 05.07.2017

გაცემის თარიღი : 24.07.2017

გაცნობის თარიღი : 24.07.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მთაწმინდა , N 17 / ქალაქი თბილისი , ქუჩა მთაწმინდა , N 19 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფიანი , ნაკვეთი 01/031 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მთაწმინდა , N 17 / ქალაქი თბილისი , ქუჩა მთაწმინდა , N 19 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფიანი , ნაკვეთი 01/031 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფიანი , N 31 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მთაწმინდა , N 17 / ქალაქი თბილისი , ქუჩა მთაწმინდა , N 19 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფიანი , ნაკვეთი 01/031 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ქაფიანიძე პ/ნ 01011008250
- ქ. თბილისი, ილ.ჭავჭავაძის გამზირი 49ბ, ოფისი 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 05

ივლისის #AR1520602 განცხადებით მომართა ირაკლი ქაფიანიძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 13 აპრილის №3207972 და 2017 წლის 02 მაისის №3236376 ბრძანებებში ცვლილების შეტანა. კერძოდ, 2017 წლის 13 აპრილის №3207972 ბრძანებიდან მე-2 და მე-3 პუნქტების, ხოლო 2017 წლის 02 მაისის №3236376 ბრძანებიდან მე-3 და მე-4 პუნქტების ამოღება.

სამსახურის 2017 წლის 13 აპრილის №3207972 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, (სექტორი – მთაწმინდა), მთაწმინდის ქუჩა N17 / მთაწმინდის ქუჩა N19 / ყიფიანის ქუჩა, ნაკვ. 01/031, ყიფიანის ქუჩა N31–ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ამავე ბრძანების მე-2 და მე-3 პუნქტებით დამკვეთს დაევალა 2017 წლის 31 დეკემბრამდე, შეათანხმოს განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი. აღნიშნული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში წინამდებარე ბრძანება ჩაითვალოს ძალადაკარგულად მისი ძალაში შესვლის დღიდან.

მოგვიანებით, სამსახურის 2017 წლის 02 მაისის №3236376 ბრძანებით, 2017 წლის 13 აპრილის №3207972 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 3 მაისიდან 2019 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით. ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტებით დამკვეთს დაევალა 2017 წლის 31 დეკემბრამდე, შეათანხმოს განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი. აღნიშნული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში წინამდებარე ბრძანება ჩაითვალოს ძალადაკარგულად მისი ძალაში შესვლის დღიდან.

ამდენად, ორივე ზემოაღნიშნულ ბრძანებაში დაფიქსირდა კონკრეტული პირობა, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში ბრძანებები ჩაითვლებოდა ძალადაკარგულად მათი ძალაში შესვლის დღიდან. შესაბამისად, მოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად ჩაუთვლელობა დამოკიდებულია ამ პირობების შესრულებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს სამსახურის 2017 წლის 13 აპრილის №3207972 და 2017 წლის 02 მაისის №3236376 ბრძანებებში ცვლილების შეტანის საფუძველი, შესაბამისად სამსახური მოკლებულია 2017 წლის 05 ივლისის #AR1520602 განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.